

## ნეკრესის მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიძე)

### რელიგია და კულტურა

ხშირ შემთხვევაში ვრცელდება ბრალდებები რელიგიაზე, თითქოსდა რელიგია ხელს უშლის კულტურულ განვითარებას. ადამიანებს სამწუხაროდ მოჰყავთ სხვადასხვა მტკიცებულებანი, რომელიც კერძო ადამიანის შეხედულებას ამტკიცებს და მტრულ განწყობას რელიგიასა და ღმერთზე უფრო და უფრო აღრმავებს.

ხშირ შემთხვევაში მოჰყავთ არგუმენტები, რომლითაც დისკრედიტაციას უწევენ რელიგიას, რის შემდეგაც მორწმუნე ხალხს უწევს თავის მართლება და მტკიცებები რელიგიის სიმართლისა. ერთის შეხედვით რელიგია თითქოსდა მართლა უშლის ხელს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას, დღევანდელ სექულარულ საზოგადოებას კი მიაჩნია, რომ თუ თანამედროვე ტექნოლოგიები არ ვითარდება, ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ადამიანის კულტურულ და გონებრივ განვითარებაზე.

მინდა დავძინო, რომ სამწუხაროდ მთელი კაცობრიობა კეთილდღეობისათვის იბრძვის, ეს კეთილდღეობა მორწმუნე ადამიანისათვის შემდეგია: პირველ რიგში ჯანმრთელი საკვები, სუფთა ჰაერი, კარგი ცოცხალი წყალი, სუფთა ბუნება; მშვიდი და წყნარი გარემო. სინამდვილეში ჩვენ რას ვხედავთ - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ნიადაგზე, ადამიანმა დაკარგა ყველაზე სასუკვარი ჯანმრთელი პროდუქტი. ამ პროდუქციის მაგივრად ვიღებთ გენური ინჟინერიით დამზადებულ და გამოყვანილ პროდუქციას, რომელსაც აღარ მოაქვს ადამიანისათვის გემრიელი სკავებით დანაყრების სისარული. რაც შეეხება სუფთა წყალს, ლაპარაკი ზედმეტია. ცოცხალი, გემრიელი და მარგებელი წყალი თითქმის აღარ არსებობს. გვაქვს ბოთლში ჩამოსხმული წყალი, რომელიც წყურვილსაც კი არ კლავს და ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს.

იგივე შეიძლება ითქვას ჰაერის დაბინძურებაზე, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით რისი ბრალია ამდენი დაავადების გავრცელება (ონკოლოგიური, დიაბეტური და ა. შ.) ეს არის შედეგი იმ ტექნიკური გამოცდებისა, რომელთა გამოყენების შემდეგ მიღებული ატომური თუ ქიმიური შენაერთები გამოდის ატმოსფეროში, რაც აუტანელს ხდის მიწიერ ცხოვრებას. სამწუხაროდ ადამიანი ვერ ტკბება იმ საჩუქრებით, რაც თავიდან ღმერთმა უბოძა მას: სუფთა და ჯანსაღი საკვები, წყალი და ჰაერი. ამ ყველაფრით ბედნიერად გრძნობს თავს და შემდეგ აღიღებს მის შემქმნელს, რომელმაც ასეთი ბედნიერი გარემო შექმნა და ზრუნავს მასზე.

მე ამით იმის თქმა მინდა, რომ რელიგიის გარეშე, უფრო სწორად უღმერთოდ ადამიანი რასაც აკეთებს, ქვეცნობიერად თავისი თავის საწინააღმდეგოდ გამოსდის. ამის მაგალითია ფაბრიკა-ქარხნების და ატომური რეაქტორების არსებობა, რომლებიც თავიდან კეთილი მიზნისათვის შეიქმნა, მაგრამ საბოლოოდ ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია.

რას აძლევს ადამიანს რელიგია და ღვთის მცნებების დაცვა? ზნეობას, რომელიც კულტურის უმაღლესი საფეხურია. სწორედ ზნეობრიობას მოითხოვს

რელიგია და ამიტომ ხდება ის ურწმუნო საზოგადოებისთვის მიუღებელი. შეიძლება დაისვას კითხვა: რა კავშირშია ზნეობრიობა და ტექნიკური კულტურის განვითარება? მე მინდა ერთი სამწუხარო მაგალითი მოვიყვანო, როდესაც პირველ ატომურ ბომბს ცდიდნენ, არავინ იცოდა, ეს ყველაფერი რით დამთავრდებოდა. შეიძლება ეს გადაზრდილიყო ჯაჭვურ რეაქციაში და მთელი დედამიწა გადამწვარიყო, ან საერთოდ ჟანგბადი გამქრალიყო, ერთი სიტყვით დედამიწას შეიძლებოდა ბოლო მოღებოდა. მიუხედავად ამისა იმ რამდენიმე მეცნიერმა, ამდენი ადამიანისა და თავისი სიცოცხლე სასწორზე დადო. მადლობა ღმერთს სიცოცხლე არ დასრულებულა, მაგრამ როდენ დიდია საფრთხე, როდესაც ადამიანს არ გააჩნია მუხრუჭი ზნეობისა, მუხრუჭი ღვთის ნებისა. ადამიანი, რომელიც არ პასუხობს ღვთის მცნებებს ზნეობრივად და არ გააჩნია ღვთის შიში, წარმოიდგინეთ რა საცდელ ბოცვრებად შეიძლება აქციოს კაცობრიობის დიდი ნაწილი. ზუსტად რელიგია გვასწავლის, დასაბამიდან კაცობრიობისა, ჭეშმარიტ კულტურულ ფასეულობებს. ყველაზე დიდი ფასეულობა კი არის სახარებისეული სწავლება, კერძოდ ის რომ შენ სხვას არ უნდა გაუკეთო ის, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ. მაგრამ თუ ადამიანს არ აქვს ზნეობა და შიში ღვთისა, არ აინტერესებს სხვისი მდგომარეობა და თან ხელში აქვს ისეთი იარაღი, რომლითაც შეიძლება დააკნინოს, დაავადმყოფოს, წონასწორობიდან გამოიყვანოს და ბოლოს სიცოცხლე წაართვას სხვა ადამიანს, მაშინ ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რისგან იცავდა რელიგია კაცობრიობას საუკუნეების განმავლობაში.

რაც შეეხება სეკულარულ და რელიგიურ კულტურის განსხვავებას, სეკულარული ადამიანს ასწავლის ფსევდოკულტურას, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში ზოგიერთ ტექნიკურ მიღწევებსაც მიაწერს კულტურას, მაგრამ სამწუხაროდ ეს ყველაფერი მაინც ეგოიზმზეა დამყარებული. მაგალითისთვის, საერო კულტურა არ ასწავლის ადამიანს მეთოდებს, როგორ შეუნდოს, აპატიოს, შეურიგდეს და არ შემურდეს სხვისი. მსგავსი განცდები ურწმუნო ადამიანისათვის საერთოდ არ არსებობს. ეს თვისებები გააჩნიათ მხოლოდ ეკლესიურად განსწავლულ ადამიანებს. ყოველ შემთხვევაში ეკლესია ამას ასწავლის. სამწუხაროა თუ ადამიანი ამას არ ასრულებს და არის მხოლოდ გარეგნულად ქრისტიანი.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ კულტურის პირველი მაჩვენებელი არის მოთმინება, თავმდაბლობა, სიყვარული... ამ გრძნობების განვითარების საშუალებები გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებას. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჭეშმარიტი კულტურა რელიგიის გარეშე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. შეიძლება მოვიყვანოთ იოანე ილინის აზრი, რომელიც ამბობს: შეიძლება ხალხს ჰქონდეს ძველი და ძალიან ფაქიზი კულტურა, მაგრამ დღევანდელი ცივილიზაციის გადმოსახედიდან ჩამორჩენილებად გამოიყურებოდნენ და პირიქით შეიძლება ცივილიზაციისა და ტექნიკის უმაღლეს მწვერვალზე იყვნენ, მაგრამ სულიერი კულტურა განიცდიდეს დეგრადაციასა და ნგრევას. რა თქმა უნდა რელიგია არ ასწავლის ყველაფრის უარყოფას, მაგრამ აქვს თავშეკავებული, დელიკატური და დაკვირვებული მიდგომა. გვხვდება რადიკალური ნაბიჯებიც, მაგრამ ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ კულტურის ნაწილი არის სულის ცხონებისთვის მანებელი. პირველი საუკუნეების დიდი მამებიც კი არ იყვნენ კატეგორიულნი

ამ საკითხთან მიმართებაში. ერთ-ერთი დიდი მამა ბასილი დიდი წერს, თუ როგორ უნდა მიეღოთ ახალგაზრდებს სარგებელი ელინური კულტურისაგან. რა თქმა უნდა ქრისტიანობა კულტურის უმაღლესი გამოვლინებაა და ამიტომ მოხდა სხვადასხვა ძველი რელიგიებიდან შემოსული კულტურის გადაფარვა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: რელიგიის გარეშე შეუძლებელია ღრმა, ჭეშმარიტი კულტურის მიღწევა, ვინაიდან კულტურას აუცილებლად სჭირდება ადამიანის თავდადება, ასკეტური ცხოვრება და ბევრ ჩვეულებაზე უარის თქმა. ეს კი შეუძლებელია თუ არ გვაქვს სწორი იდეა და მიმართება. მორწმუნე ადამიანის მიმართულება არის სრულყოფა, რათა შეუერთდეს ღმერთს, ხოლო ამისათვის უნდა დაიხვეწოს და გამოიწროოს დედამიწაზე. ასეთი ადამიანი საზოგადოებისთვის სათნო ხდება, მისთვის ყველაზე მთავარია ღვთის სიყვარული და მისდამი მადლიერება.

ახლა მინდა ყურადღება გავამახვილო, თუ რა კულტურული ფასეულობები შემოუტანა რელიგიამ კაცობრიობის ხელოვნების სახით. შემდეგ კი გადავიდეთ, თუ როგორ მოქმედებს სახარება და საერთოდ ბიბლია ადამიანის ზნეობრივ აღზრდაზე. მინდა პირველად შევეხო ყველაზე დიდ მართლმადიდებლურ ტაძარს, აიასოფიას, რომელიც დღესდღეობით სტამბულში მდებარეობს. ეს არის IV საუკუნის უნიკალური ძეგლი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მთელ მართლმადიდებლურ სამყაროზე. მისი დახვეწილი და ნატიფად გამოყვანილი არქიტექტურის დანახვისას, ხალხი იმდენად განცვიფრდებოდა, რომ ხშირად კითხვაზე - როგორ მოგეწონათ ღვთის რწმენით აშენებული ტაძარი, ამბობდნენ, ვერ გავიგეთ ცაში ვიყავით თუ დედამიწაზეო. იგი ძალიან ლამაზი და ორიგინალური შენობაა, არამარტო ქრისტიანულ სამყაროში, არამედ მთელ მსოფლიოში. სამწუხაროა, როცა ადამიანი ვეღარ აღიქვამს სამოთხეს, იმიტომ რომ მან დაკარგა ღმერთთან კონტაქტი და რეალურად ვერ ხედავს იმ სილამაზეს, რომელიც სიყვარულით და მზრუნველობით არის შექმნილი. ასევე ხშირად გაისმის ბრალდება რელიგიაზე, რომელიც ამ კულტურის, ფასეულობების და ნამდვილი ხელოვნების შემქმნელი და სულის ჩამდგმელია. სამწუხაროდ ხალხი ისე დამძიმდა რელიგიისადმი, რომ მათ ვეღარ გაუგიათ ეს ტაძრები და ეკლესიები წინაპრებმა, რისთვის, ან ვისთვის ააშენეს. ამიტომ ამ უნიკალურ შენობებს იყენებ ან კინოთეატრებად, ან კიდევ საკონცერტო დარბაზებად. რა თქმა უნდა ეს შენობა ნაგებობები არ არის გათვალისწინებული ამგვარი მიზნებისათვის, და ხშირ შემთხვევაში იწვევს შინაგან პროტესტს. ითვლება, რომ ეს არ არის ხელოვნების კარგი ნიმუში. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ კულტურული ფასეულობები შეცვალეს, ის, რაც ღვთის სახლად იწოდებოდა, საკონცერტო დარბაზადაა გადაკეთებული. როდესაც ადამიანი დაუბრუნდება ღმერთს, დაამყარებს მასთან კონტაქტს, მხოლოდ მაშინ მიხვდება, რაში სჭირდებოდა ხალხს ამხელა ტაძრები, თავისი შინაგანი უნიკალურობით, მორთულობით და სიმბოლური დატვირთვით. ამიტომ რელიგიური ნაგებობები უგემოვნოდ კი არ არის აშენებული, არამედ ადამიანი გახდა ურწმუნო, რის გამოც იგი სწორად ვეღარ აღიქვამს ამ კულტურას. წარმოიდგინეთ რომელიმე ლამაზი მცენარე, მაგალითად კარგი, მაღალი ხე, რომელიც ღვთის დიდებაზე მეტყველებს, რომლის არსსაც კითხულობს მაღალი კულტურის მქონე ადამიანი, ტკბება ამ სილამაზით და ხარობს. ნაკლებად კულტურული ადამიანი ამ მცენარეში ხედავს მხოლოდ კარგი

შემოსავლის წყაროს. მეორე მაგალითიც მოვიყვანოთ, როცა სოფელს გადაუფრენს ფრინველთა გუნდი, მორწმუნე ადამიანი თანამოზიარე ხდება ღვთის ამ ქმნილებებისა. იგი ნეტარებს ფრინველების სრულყოფილებითა და პარმონით. ხოლო ბრმა ადამიანი, რომელიც ამ სილამაზეს ვერ აღიქვამს, ცდილობს მოიპოვოს ისეთი იარაღი, რომლითაც ამ ყველაფერს ერთი ხელის მოსმით გაანადგურებს.

მე ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ კაცობრიობა შეგნებულად თავს არ დაიბრმავეებს და ყველაფერს სწორად მიუდგება, დაინახავს რამხელა წვლილი აქვს სარწმუნოებას საზოგადოების კულტურულ ჩამოყალიბებაში.

ლუკა იასენეცკის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სარწმუნოებით ემსახურებოდა ხალხს. მას ჰქონდა მრავალი სამეცნიერო აღმოჩენა მედიცინის სფეროში. საბოლოოდ კი ცნობილი მეცნიერი მთავარეპისკოპოსი გახდა. შესანიშნავი მაგალითია ცხოვრება ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა, ილია მართლისა (ჭავჭავაძე), რომელიც შემდგომ წმინდანად შეირაცხა. იგივე შეიძლება ითქვას ცნობილ მეცნიერ პავლოვზე, რომელმაც თავისი ცხოვრება მიუძღვნა, როგორც მეცნიერებას ისე სარწმუნოებას.

მინდა მაგალითები მოვიყვანო სახარებიდან, რომელიც კაცობრიობას ასწავლის ცხოვრების კულტურასა და ზნეობას. ლუკას სახარებაში წერია: „მიუგო იესომ და უთხრა: ერთი კაცი ჩადიოდა იერუსალიმიდან იერიქოში და ავაზაკებს ჩაუვარდა ხელში, რომლებმაც გახადეს მას და ჭრეს, წავიდნენ და დატოვეს ცოცხალ-მკვდარი და შემთხვევით ერთი მღვდელი ჩამოდიოდა იმ გზით და ნახა იგი და გვერდი აუარა, და ასევე ლევიანიც იმყოფებოდა იმ ადგილას, მივიდა, ნახა და გვერდი აუარა და ვიღაც სამარიელი მიემგზავრებოდა, მიადგა მას და ნახა იგი და შეებრაღა იგი და მივიდა და შეუხვია მას ჭრილობები და დაასხა ზეთი და ღვინო და შესვა იგი საკუთარ სახედარზე და მიიყვანა იგი სასტუმროში და იზრუნა მასზე და მეორე დღეს, როცა გამოდიოდა, ამოიღო ორი დინარი და მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იზრუნე მასზე და რაც ზედმეტი დაგეხარჯება, როცა დაგებრუნდები, მოგცემ შენ. ამ სამთავან ვინ გგონია შენ მოყვასი მისი, ვინც ხელში ჩაუვარდა ავაზაკებს? და მან თქვა: ვინც გაიღო წყალობა მის მიმართ. უთხრა მას იესომ: წადი და შენ გააკეთე ასევე“ (ლუკა თავი 10. მუხლი 30-37).

ამ მაგალითით ჩანს, როგორი სრულყოფილია სახარება, დამატებაც კი არ სჭირდება. მცირე სიტყვებით ასწავლის ადამიანს, თუ როგორი უნდა იყოს იგი, რომ ადამიანი სიკეთისთვისაა შექმნილი. ჩვენს მიმემ პერიოდში, როგორ ძალიან სჭირდება ადამიანს თანამგრძნობი და სიკეთის მსურველი. თუნდაც ვინმე, ვინც გაიზიარებს შენს ჭირსა თუ ღხინს. სამწუხაროდ რამდენი კარი ხვდება ადამიანს დახურული, განსაკუთრებით გულისა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არ ვხელმძღვანელობთ სახარებით. კულტურას არ ვსწავლობთ წმიდა წერილიდან. თუ რამეს ვაკეთებთ, ვაკეთებთ ანგარებით, უფრო სწორად, ჩვენ არ გვინდა თავი შევიწუხოთ სხვისი პრობლემებით. რადგან ჩვენი ეგოისტობა არ გვაძლევს საშუალებას სიკეთის კეთებისა. ურწმუნო ადამიანს არ აქვს იდეოლოგია, თუ რისთვის უნდა გააკეთოს ეს სიკეთე. მორწმუნისათვის საკმარისია უფლის სწავლება, აკეთოს ისე, როგორც

ღმერთს სურს. აი ასე ნელ-ნელა ადამიანი ხდება შინაგანად ნამდვილად კულტურული. ის იღებს მაგალითს სახარებიდან და თანდათან იხვეწება.

შემდეგი იგავია უძღვებ შვილზე: „და თქვა: ვილაც კაცს ჰყავდა ორი ძე და უთხრა უმცროსმა თავის მამას: მამა, მომეცი მე კუთვნილი წილი ქონებისა და გაუყო მან საცხოვრებელი. არცთუ მრავალი დღის შემდეგ შეაგროვა ყველაფერი უმცროსმა ძემ და წავიდა შორეულ ქვეყანაში. და იქ გაფლანგა თავისი ქონება, რადგან ცხოვრობდა უწესოდ. ხოლო როცა დახარჯა ყველაფერი, იყო ძლიერი შიმშილი იმ ქვეყანაში და შემოაკლდა მას. და მივიდა და შეეკრა იმ ქვეყნის ერთ მოქალაქეს, ხოლო მან გაუშვა იგი თავის მინდვრებში ღორების სამწყემსავად. და ეწადა გაედლო მუცელი რკოთი, რომელსაც ჭამდნენ ღორები და არავინ აძლევდა მას და გონს მოეგო და თქვა: მამაჩემის რამდენ დაქირავებულს აქვს პური, ხოლო მე აქ შიმშილით ვკვდები. ავდგები და წავალ მამაჩემთან და ვეტყვი მას: მამაო, ვცოდე ცის მიმართ და შენ წინაშე. და აღარა ვარ ღირსი, ვიწოდებოდე შენს ძედ, არამედ მამყოფე მე, როგორც ერთი დაქირავებულთაგან. და ადგა და წამოვიდა თავის მამასთან. და როცა ჯერ კიდევ შორს იყო, დაინახა იგი თავისმა მამამ და შეებრაღა და გაიქცა და დაემხო მას ქედზე და ეამბორა მას. და უთხრა მას ძემ: მამაო ვცოდე ცის მიმართ და შენ წინაშე და აღარა ვარ ღირსი, ვიწოდებოდე შენს ძედ. და უთხრა მამამ თავის მონებს: გამოიტანეთ საუკეთესო სამოსელი და შემოსეთ იგი და წამოაცვით მას ბეჭედი ხელზე და ხმალი - ფეხებზე. და მოიყვანეთ ნასუქი ხბო, დაკალით და ვჭამოთ და გავიხაროთ, რადგან ეს ჩემი ძე მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა; . და დაიწყეს მხიარულება და იყო მისი უფროსი ძმა ველად. და როგორც კი მოვიდა და მიუახლოვდა სახლს, გაიგონა ხმა სიმღერისა და ფერხულისა, და მოუხმო ერთ მსახურთაგანს და ეკითხებოდა: რა არის ეს? ხოლო მან უთხრა მას: შენი ძმა მოვიდა და დაკლა მამაშენმა ნასუქი ხბო, რადგან ჯანმრთელი დაბრუნდა იგი. და განრისხდა და არ მოისურვა შესვლა; ხოლო მამა მისი გამოვიდა და ევედრებოდა მას, და მან მიუგო და უთხრა თავის მამას: აჰა, ამდენი წელია გემსახურები შენ და არასოდეს გადავსულვარ შენს მცნებებს და ჩემთვის არასოდეს მოგიცია თიკანი, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად გამეხარა; ხოლო როცა ეს შენი ძე მოვიდა, რომელმაც შეჭამა შენი საცხოვრებელი მეძავებთან, დაუკალი მას ნასუქი ხბო. და მან უთხრა მას: შვილო შენ ყოველთვის ჩემთან ხარ და ჩემი ყველაფერი შენია, ხოლო ახლა მხიარულება და სიხარული გვმართებს, რადგან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“ (ლუკა, თავი 15, მუხლი 11-32).

ეს იგავი ადამიანს ასწავლის კულტურის უმაღლეს საფეხურს - სიყვარულს. სიყვარული კი შემნდობია. დავაკვირდეთ, როგორ სიყვარულს ამჟღავნებს მამა თავისი დაკარგული შვილის მიღებისას. ადამიანი, რომელიც დამნაშავეა და იგი აღიარებს თავის დანაშაულს, მას ზუსტად ისეთი მიღება სჭირდება საზოგადოებისაგან, როგორც ამ იგავშია ნაჩვენები. მამა ღმერთი სწორედ ასე ელოდება ცოდვით დაცემული ხალხის მონანიებას, რომ შემდეგ დიდი სიყვარულით ჩაიკრას ისინი გულში და დაუბრუნოს პირვანდელი დიდება.

მამისა და უფროსი შვილის დიალოგში ნათლად ჩანს, თუ როგორ უნდა ებრძოლოს ყოველი ადამიანი შურს.

პირველ საუკუნეებში ხალხს ეგონა, ქრისტე რომ მიეღოთ, უარყოფილი უნდა ყოფილიყო დანარჩენი სამყარო. თანამედროვე ცივილიზაცია კი აკეთებს პირიქით, აღიარებს მომხიბვლელ სამყაროს და უარყოფს ქრისტეს. სწორი გზა კი შემდგომში მდგომარეობს: სარწმუნოებაში მიმავალმა ადამიანმა ქრისტიანულად უნდა დაინახოს სამყარო და ადიდოს ღმერთი. ამ ყველაფრისაგან გამომდინარე ფაქტი ერთია, ურელიგიოდ არ არსებობს ჭეშმარიტი კულტურა. რელიგია ასწავლის კულტურას და კულტურა და რელიგია კი აცხოვნებს ადამიანს. ერთ-ერთი კულტურის გამომხატველი ადამიანისათვის არის მადლიერება, თუ ადამიანს გააჩნია მადლიერება ღვთის წინაშე, ეს ის გრძნობაა, რომლითაც ადამიანი კიდეებს და იშორებს ყველაფერ მანკიერს, იზრდება და მადლდება სულიერად. ეს არის ყველაზე დიდი გრძნობა, რომელსაც ძალიან აფასებს ღმერთი, ჩვენ კი ვიცით, რომ ყველაფრის საწყისი ღმერთია.